საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/121

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტთა სემინარების შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებისა და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2021 წლის 22 ივლისის №734530 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2020-2021 სასწავლო წლისათვის დოქტორანტთა სემინარების შემფასებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

„ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე

ა. პროფესორი ქეთევან დოლიძე - კომისიის თავმჯდომარე;
ბ. ასოცირებული პროფესორი ლალი ჟღენტი - კომისიის მდივანი;
გ. ასოცირებული პროფესორი ნაზი თურმანიძე - კომისიის წევრი;

2. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/44 დადგენილებითა და ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებით.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, (ფაკულტეტს, ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელს) და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**